



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
ბაზმეობა



2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37

ტელ: 0 494 22 30 10

N 2370
11/12/2015

2370-09-2-201512111632



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 85²-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებისა და საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ 2015 წლის 22 ივლისის საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგინთ, ა) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებისთვის რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 500-ს არ აღემატება, საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ“ ბ) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებისთვის რომელშიც რეგისტრირებულია 501-2000 ამომრჩეველი საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ“ გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებისთვის რომელშიც რეგისტრირებულია 2000-ზე მეტი ამომრჩეველი საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტებს და ა) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებისთვის რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 500-ს არ აღემატება, საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ“; ბ) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებისთვის რომელშიც რეგისტრირებულია 501-2000 ამომრჩეველი საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ“ გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებისთვის რომელშიც რეგისტრირებულია 2000-ზე მეტი ამომრჩეველი საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების პროექტებს და აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ 2015 წლის 22 ივლისის საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უნდა უზრუნველყოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ საზღვრებში მოქცეული დასახლებების საერთო კრების, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმის ტიპური დებულების

დამტკიცება, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და აღნიშნული მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე ინიცირების პროცესებში ქმედით ჩართულობას.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ნორმატიული აქტების მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა როგორც დასახელებული დადგენილებების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე განკარგულებების პროექტი, ისე შესაბამისი დადგენილებების პროექტი.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

გ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.


3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია გამგეობის იურიდიული სამსახურის მიერ. შესაბამისად საკრებულოს სხდომაზე მომხსენებლად წარმოგიდგენთ ამავე სამსახურის უფროსის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის
მოვალეობის შემსრულებელი

ნუგზარ ცინცაძე



გამგებლის მოვალეობის შემსრულებლებელი

ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2015 წლის დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებისთვის რომელშიც რეგისტრირებულია 2000-ზე მეტი ამომრჩეველი საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი-ს 106¹-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტისა და 177-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებისთვის რომელშიც რეგისტრირებულია 2000-ზე მეტი ამომრჩეველი საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებისთვის რომელშიც რეგისტრირებულია 2000-ზე მეტი ამომრჩეველი საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106²-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

გიორგი ხელაძე

დანართი

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებისთვის რომელშიც რეგისტრირებულია 2000-ზე მეტი ამომრჩეველი საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

„ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება ლანჩუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებისთვის რომელშიც რეგისტრირებულია 2000-ზე მეტი ამომრჩეველი საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებისთვის რომელშიც რეგისტრირებულია 2000-ზე მეტი ამომრჩეველი საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2015 წლის --- დეკემბრამდე ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).